საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4572/01
06/05/2021

4572-01-2-202105061953

შპს „მშენებელი 2020“-ის დირექტორს
ბატონ ლაშა ბარამიას
მის: ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ., N 161
ელ ფოსტა: LASHA_BARAMIA@mail.ru;
esec.ecometer@gmail.com

ბატონო ლაშა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 15 აპრილის N6749 წერილი, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო დანადგარები დაახლოებით 580 მეტრითაა დაშორებული ფიზიკური პირი ონისე ღუბელაძის საცხოვრებელი სახლიდან (ს/კ 43.11.45.004), თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით შედეგად, აღნიშნულ ნაკვეთზე არ ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, ამასთან მიწის ნაკვეთი დანადგარებიდან დაშორებულია დაახლოებით 3.7 კმ-ით. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში, სურ. 4.4-ზე მითითებული საცხოვრებელი სახლი, რომელიც დანადგარებიდან დაშორებულია დაახლოებით 580 მეტრით მდებარეობს ვაჟიკო ფეტელავას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.14.45.004). ზემოაღნიშნული საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და გატანა მოხდება ობიექტის მუშაობის პარალელურად. დაზუსტებას საჭიროებს ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის შესახებ ინფორმაცია (სიხშირე, გადაადგილების რაოდენობა), შესაბამისი მარშრუტის მითითებით და ასევე ტრანსპორტირების დეტალური გეგმა-გრაფიკი;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული კერძო ლიცენზიანტებისგან. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული კომპანიების შესახებ, მათი ადგილმდებარეობის მითითებით;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტების GPS კოორდინატები Shp ფაილებთან ერთად;
- გზშ-ის ანგარიშში ცხრილი 4.2-ის და საწარმოს გენ-გეგმის (სურათი 4.2) თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია 2 სამსხვრევი დანადგარი (GPS კოორდინატებით: სამსხვრევი 1 – X-736656; Y-4706174 და სამსხვრევი 2 – X-736648; Y-4706173), თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ძირითად წყაროებში განხილულია მხოლოდ ერთი სამსხვრევი დანადგარი. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე არსებული/დაგეგმილი სამსხვრევი დანადგარების რაოდენობა, მათი წარმადობა და სამუშაო რეჟიმი, ასევე სამსხვრევ დანადგარებს შორის მანძილი, ხოლო მათი ერთმანეთთან მნიშვნელოვნად დაშორების შემთხვევაში, ცალკეული დანადგარის ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ის დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მდ. ჯუმში შეწონილი ნაწილაკების ფონური კონცენტრაციის ლაბორატორიული კვლევის შედეგი;
- ამავე დოკუმენტში არ არის დასაბუთებული ჩამდინარე წყლისთვის დადგენილი და ზდჩ ნორმების ანგარიშში გამოყენებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული/სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე